ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის #1 საჯარო სკოლის

მუზეუმის დებულება

ქ.ქუთაისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის #1 საჯარო სკოლის მუზეუმი წარმოადგენს სკოლასთან არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო სკოლის წესდებისა და ქუთაისის #1 საჯარო სკოლის შინაგანაწესით დადგენილ ფარგლებში.
2. მუზეუმი წარმოადგენს სკოლაში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერას.
3. მუზეუმი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
4. მუზეუმის სახელწოდებაა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის #1 საჯარო სკოლის მუზეუმი“.

მუხლი 2. ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი და მისამართი

1. მუზეუმი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 30 დეკემბრის 2004 წლის №626 ბრძანებულების მე-2 პუნქტისა და ამ დებულების შესაბამისად.

2. მუზეუმის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ქუთაისი გალაკტიონ ტაბიძის ქ.#58

მუხლი 3. მუზეუმის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1.სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის N1 სახელობის სასკოლო მუზეუმი წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერას და მისი საქმიანობა უპირატესად ორიენტირებულია სამუზეუმო, კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებებზე.

2.ქუთისის იოსებ ოცხელის სახელობის სასკოლო მუზეუმი თავისი საქმიანობით შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, რომელიც პასუხობს მუზეუმის მიზნებსა და ამოცანებს.

3. მუზეუმის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

ა) სკოლის 150 წლიანი არსებობის მანძილზე დაგროვებული ინფორმაციების მოძიება, დაცვა, ექსპონირება და პოპულარიზაცია მოსწავლეებში;

ბ) კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობის მიდგომაზე დაფუძნებულ მეცნიერულ-

ანალიტიკური და ექსპერიმენტული კვლევა;

გ) სკოლის ისტორიული წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია მოსწავლეებში. მათ მშობლებსა და თემში;

დ) სკოლის საგანმანათლებლო-პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობასა და განვითარებას სამეცნიერო ხასითის კონფერენციების დაგეგმვის და ჩატარების გზით;

ე) საგანმანათლებლო და სასწავლო ბაზის შექმნა, იოსებ ოცხელის საზოგადოებისწევრთა ხელშეწყობის გზით;

ვ)სასკოლო- სასწავლო პროგრამების შესაბამისი თემატური ექსპოზიციების. საღამოებისა და შეხვედრების გამართვა;

ზ) სასკოლო მუზეუმის ინტეგრირება სასწავლო და საგანმანათლებლო სფეროში – თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, აგრეთვე ქ. ქუთაისის მერიასთან, ქ.ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან- საჯარო სკოლებთან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;

თ)სკოლის მოსწავლეების (მათ შორის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიც) და მასწავლებლების, აგრეთვე საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლების მოწვევას ინტეგრირებული- სამეცნიერო კონფერენციებისა და სასწავლო ლექციების ჩატარებისა და გაკვეთილების დანერგვის მიზნით;

მუხლი 4. ურთიერთობა მესამე პირებთან, უფლება-მოვალეობები

1. მუზეუმს უფლება აქვს:

ა) საკუთარი სახელით განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები,

ბ) განახორციელოს ყველა სახის კულტურული, სახელოვნებო, სამეცნიერო, კვლევით და/ან საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) მოაწყოს გამოფენები, შეხვედრები, კონფერენციები,სემინარები და სხვა კულტურული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები;

დ) „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით განახორციელოს თავისი უფლებების დაცვა და რეალიზაცია, ასევე მუზეუმში დაცული ექსპონატების დაცვა ყველა სახის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

ე) აწარმოოს საქმიანობა, რომელიც თვისობრივად პასუხობს მუზეუმის მიზნებს და ამოცანებს.

მუხლი 5. მუზეუმის სტრუქტურა და მართვა

1. მუზეუმის მართვას, მოვლა-პატრონობას,სამუზეუმო მასალებისა და ექსპონატების მოკვლევა-მოძიებას, აგრეთვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას ახდენს სასკოლო მუზეუმის ხელმძღვანელი-“სასკოლო მუზეუმის გამგე“

2. სასკოლო მუზეუმის ხელმძღვანელი-მუზეუმის გამგე ინიშნება სახელშეკრულებო ფორმით სკოლის დირექტორის რძანებით;

3.სასკოლო მუზეუმის ხელმძღვანელს-სკოლის მუზეუმის გამგეს თავის საქმიანობის განხორციელებაში თანადგომას უცხადებს და ეხმარება სკოლა;

4.სასკოლო მუზეუმის ხელმძღვანელი-სკოლის მუზეუმის გამგე თავის საქმიანობას ახორციელებს წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელსაც პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი;

მუხლი 6. სამუზეუმო ფონდი და მუზეუმის ქონება

1. სამუზეუმო ფონდი განთავსებულია ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის #2 საჯარო სკოლის საკლასო ოთახში, რომელიც მდებარეობს სკოლის ცენტრალური შემოსასვლელის

მარცხენა მხარეს;

2. მუზეუმი ახორციელებს სამუზეუმო კოლექციებში დაცულ ფასეულობათა დაცვას.

3.მუზეუმის ქონებად ითვლება, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრება და არამატერიალური აქტივი, რომელიც მის სტრუქტურაშია თავმოყრილი.

მუხლი 7. მუზეუმის ფინანსური წყაროები

1. მუზეუმის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

სასკოლო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები აგრეთვე სკოლის მიზნობრივი შემოსავლები;

მუხლი 8. კონტროლი

1.სასკოლო მუზეუმისა მისი ქონების კონტროლი ხორციელდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ;

მუხლი 9. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის #1 საჯარო სკოლის -სასკოლო მუზეუმის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია სკოლის პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით.